KA040110860041816

საქართველო, თბილისი, 0114, ინგოროყვას ქ. №7; ტელ.: (+995 32) 2 19 27 27; ფაქსი.: (+995 32) 2 92 33 78; ელ–ფოსტა: info@csb.gov.ge; www.csb.gov.ge

**№ g240** **12 / იანვარი / 2016 წ.**

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების
ინსტიტუტის დირექტორს, ბატონ
გიორგი კლდიაშვილს

ბატონო გიორგი,

სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურომ განიხილა თქვენი 2015 წლის 29 დეკემბრის N20151222 წერილი, რომელიც ეხება რიგი თანამდებობის პირების ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების საიდუმლო ინფორმაციას მიკუთვნების საკითხს.

მოგეხსენებათ, რომ საჯარო სამსახურის რეფორმის ფარგლებში ცვლილებები განხორციელდა „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონში, რომლის შედეგად, ახლებურად განისაზღვრა ინტერესთა შეუთავსებლობასა და კორუფციულ სამართალდარღვევასთან დაკავშირებული ცალკეული სამართლებრივი საკითხები. საკანონმდებლო ცვლილებები შემუშავდა არამხოლოდ თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის ინსტიტუტის შემოსაღებად, არამედ ასევე შეტანილ იქნა ის ცვლილებები, რომლებიც არსებული საკანონმდებლო რეგულაციების დახვეწას ან მოქმედ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციას ისახავენ მიზნად.

განსახილველ კონტექსტში ერთ-ერთ მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს ნორმა, რომლითაც დადგინდა გამონაკლისი საერთო წესიდან და შეიზღუდა თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის საჯაროობა და დაუბრკოლებლად გაცნობის შესაძლებლობა, ამავე ნორმით დადგენილ შემთხვევაში, კერძოდ, „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, „ნებისმიერ პირს აქვს უფლება, მოითხოვოს, მიიღოს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის ასლი და გაეცნოს მას, გარდა ამ დეკლარაციაში აღნიშნული პირადი ნომრისა, მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მისამართისა და ტელეფონის ნომრისა, თანამდებობაზე პირველად განწესებამდე პერიოდისთვის ან/და თანამდებობიდან გათავისუფლების შემდეგი პერიოდისთვის მიკუთვნებული ამ კანონის მე-15 მუხლის „კ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციისა და დეკლარაციის საიდუმლო გრაფისა, აგრეთვე იმ თანამდებობის პირის დეკლარაციისა, რომლის თანამდებობას „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად საიდუმლოობის გრიფი აქვს მინიჭებული.

„სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის „დ" პუნქტის „დ.ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, „საიდუმლოს წარმოადგენს ინფორმაცია იმ პირთა შესახებ, რომლებიც დაზვერვის, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვის სფეროებში კონფიდენციალურად თანამშრომლობენ ან თანამშრომლობდნენ სათანადო საქმიანობის განმახორციელებელ საქართველოს შესაბამის ორგანოებთან."

ამავდროულად, 2015 წლის 24 სექტემბერს საქართველოს მთავრობის N507 დადგენილებით დამტკიცდა და 2016 წლის 1 იანვარს ამოქმედდა სახელმწიფო საიდუმლოებისათვის მიკუთვნებული ინფორმაციების ნუსხა, რომლის მე-10 მუხლის „გ" პუნქტისა და მე-19 მუხლის „გ" პუნქტის შესაბამისად, საიდუმლოებას წარმოადგენს ცნობები: „სამინისტროების, უწყებების შემადგენლობაში სამხედრო ფორმირებების, სამხედრო დაწესებულებების მოსამსახურეების შესახებ"; „სადაზვერვო, კონტრსადაზვერვო და სხვა სპეცსამსახურების სტრუქტურა, ფუნქციური მოვალეობანი და მონაცემები ფარული თანამშრომლობის შესახებ, რომელთა გამჟღავნება

გამოააშკარავებს მათი მუშაობის მიმართულებას და დაინტერესების ობიექტებს“.

სწორედ, „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის N507 დადგენილების მოთხოვნათა უზრუნველსაყოფად გახდა აუცილებელი “საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ” საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის ახლებური ფორმულირება, რითაც განხორციელდა საკანონმდებლო რეგულაციათა სინქრონიზება და გენერალურად მოწესრიგდა პირთა კონკრეტულ წრესთან დაკავშირებული ინფორმაციის დასაიდუმლოების საკითხი.

ახალი მომწესრიგებელი ნორმის მიღება განპირობებულია საქართველოს სახელმწიფოებრივი უშიშროებისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესით, სხვადასხვა სფეროში სტრატეგიული მნიშვნელობის ინფორმაციის გამხელისაგან დაცვის უზრუნველსაყოფად.

ვინაიდან ზემოთ ჩამოთვლილ პირთა შესახებ ინფორმაცია წარმოადგენს საიდუმლოს, „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებით შეიქმნა საკანონმდებლო საფუძველი და დაზუსტდა, რომ მიუხედვად ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების საჯარო ხელმისაწვდომობისა, არსებობს გამონაკლისი საერთო წესიდან, რაც ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების ინტერესების თანაბარზომიერია და აღემატება თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის საჯაროობის ინტერესს.

ამასთან, როგორც მოგეხსენებათ, საკანონმდებლო ცვლილებებზე მუშაობა შემჭიდროვებულ ვადებში მიმდინარეობდა, საპარლამენტო განხილვების პარალელურად ბიურო აქტიურად ახორციელებდა კანონმდებლობის ჰარმონიზაციის მიზნით შესაბამის სამუშაოებს, რამაც განაპირობა კანონპროექტის პირვანდელ რედაქციაში (საჯარო განხილვების დროს) ამ კონკრეტული და სხვა საკითხების არარსებობა და შემდგომ საპარლამენტო განხილვებზე მათი დამატება.

საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენამდე, „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის განსახილველ ნაწილზე კონსულტაციები მიმდინარეობდა შესაბამისი ძალოვანი უწყებების წარმომადგენლებთან და მხედველობაში იქნა მიღებული მათი რეკომენდაციები.

აქვე გაცნობებთ, რომ ზემოთ განხილული საფუძვლების გათვალისწინებით, "საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილება, საიდუმლო გრიფით დანიშნული თანამდებობის პირების ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების დასაიდუმლოების შესახებ, ინიცირებულია ბიუროს მიერ. ამასთან, ბიურო არ ფლობს მონაცემებს გრიფით საიდუმლო თანამდებობების შესახებ, ვინაიდან, ამგვარი ინფორმაციის დამუშავება სცილდება მის კომპეტენციას.

ბიუროს უფროსი

ეკატერინე ქარდავა